

შიდა აუდიტის სამსახური 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

როგორც მოგეხსენებათ შიდა აუდიტის სამსახური შეიქმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებით, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №16 დადგენილებით დამტკიცებული დებულება.

როგორც მოგეხსენებათ, შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი მიზანი განსაზღვრულია კანონმდებლობით დამტკიცებული დებულებით და იგი მოიცავს:

ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერგვას და ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებებს, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

- დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რეგულირებულ ნორმებთან.

- საბიუჯეტო სახსრების და რესურსების ეკონომიურად ეფექტიანად გამოყენება.

- აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან.

ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურაში.

2015 წელში ჩატარებული იქნა შემოწმება შემდეგ ა(ა) ი.პ.-ებსა და შ.პ.ს. – ებში:

1. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“;
2. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;
3. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“;
4. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის სახლი“;
5. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“;
6. შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“;
7. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება“;
8. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრი“;
9. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმამუშელოთა ჯგუფი“;

10. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“;

11. შ.პ.ს. „ტექნოსერვი“.

შემოწმებები ხორციელდებოდა გამგებლის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმისა და სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

შიდა აუდიტის დაწყებამდე ხდებოდა ა.ა)ი.პ.-ის ხელმძღვანელის ინფორმირება აუდიტის ჩატარების შესახებ. რაც ხორციელდებოდა ოფიციალური წერილის მეშვეობით, რომლითაც აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა ოფიციალურად ეცნობებოდა დაგეგმილი აუდიტის ჩატარების შესახებ, ვინ ჩაატარებს აუდიტს და რატომ ტარდება აუდიტი. აუდიტის მიზნები და მოქმედების სფერო, აუდიტის დაწყების თარიღი და ხანგრძლივობა, აუდიტის ჩატარებისთვის პასუხისმგებელი პირების სახელი და გვარი.

აუდიტის ობიექტისგან წინასწარ ვითხოვდით ფინანსურ და სტატისტიკურ ანგარიშებს და სხვა საჭირო დოკუმენტებს, რაც შემოწმებელს ეხმარება არსებული მდგომარეობის უკეთ აღქმასა და ტენდენციების დადგენაში.

შემოწმება მოიცავდა ძირითადად შემდეგ საკითხებს:

თითოეულ შესამოწმებელ ობიექტში დანერგილია თუ არა საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაცია, რამდენად სწორად ხდება საბუღალტრო გაფორმება, საბუღალტრო ოპერაციების წარმოება. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით მიზნობრივად ხდება თუ არა ბიუჯეტის თანხების გამოყენება, ხელფასების, პრემიების და სხვა გასაცემი თანხების დროულად გადარიცხვა, ხდება თუ არა ანგარიშსწორების აღრიცხვა, მოწმდება თუ არა ფულადი და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების დროულად გამოვლენა და აღრიცხვაში ასახვა (შერჩევით მოწმდება ჩატარებული ინვენტარიზაციის სისწორე).

მოწმდება კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ასევე შრომითი რესურსების სწორად გამოყენება და შრომის დისციპლინის დაცვა. პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით ტარდება მომდევნო წლის შერჩევით 2 თვის ცალკეული გეგმით გათვალისწინებული საკითხების შემოწმება. ამასთან ტარდება ცალკეული პრევენციული ღონისძიებები, რათა შემდეგ პერიოდში არ ქონდეს ადგილი დარღვევებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თუ როგორ სრულდება შესამოწმებელ ობიექტებში საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №708 განკარგულება.

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

- ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №615 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ”,

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. გარდა ამისა ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აუდიტი ტარდება შერჩევითი პრინციპებზე დაყრდნობით, აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას, აუდიტის სამსახურის მოსაზრება არ წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგების აბსოლიტური სისწორის შემოწმებას, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

რისკის შეფასების პროცესში შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალისტები განიხილავენ აუდიტის ობიექტის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც აუცილებელია ისეთ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობას, ან სხვა სახის ცვლილებებს. აღნიშნულის მიზანია აუდიტორმა შეიმუშაოს გარემოებებთან შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და სხვა.

მოკლედ, ჩატარებულ შემოწმებებზე:

1. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრ“-ში:

ა(ა)ი.პ „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრის“ ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2014 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 70,0 ათ. ლარი.

გარემოება; 2014 წელს ა(ა)ი.პ. „არქიტექტურული დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 92,2 ათ. ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 59,6 ათ. ლარს, ხოლო დანარჩენი 32,7 ათ. ლარი წარმოადგენს თანამშრომლებისათვის პრემიის სახით გაცემულ თანხას, რომელიც არ არის შეთანხმებული დამფუძნებელთან.

2014 წლის 12 მარტის N94 ხელშეკრულების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ა(ა)ი.პ. „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი-ს“ ანგარიშზე ჩამორიცხულია 1800 ლარი. კერძოდ შესრულდა „საჯავახო, ჩოხატაური, ქობულეთის“ შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის, ლიხაურის თემის ადგილობრივი მნიშვნელობის დამაკავშირებელი გზის 1,5 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაციის შესასრულებლად სადეფექტო აქტისა და საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

2014 წლის 10 აპრილს N 129 ხელშეკრულების თანახმად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულებით დამტკიცებულია შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2% ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უნაზღაურებს „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრს“. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის ცენტრის ანგარიშზე ჩამორიცხულია 21 988 ათ. ლარი; ა(ა)ი.პ „არქიტექტურული დაგეგმარებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ დამფუძნებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ცენტრის წესდებით გათვალისწინებული ამოცანებია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, პროექტების შემუშავება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმება დამფუძნებელთან და შესაბამისად საკრებულოს მიერ თანხის გამოყოფა ცენტრისთვის არაკანონიერია.

2014 წლის 6 ნოემბრის N74 ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მთავრობა 2014 წლის 23 ოქტომბრის N1900 განკარგულების საფუძველზე სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების განსახორციელებლად გათვალისწინებულ სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი სამუშაოების ღირებულების 2%-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ურიცხავს „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრს“. 2014 წელს ცენტრის ანგარიშზე ჩარიცხულია 25 884 ლარი;

ა(ა)ი.პ „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანხა შეადგენს 2 371 ლარს. კერძოდ გაკეთებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (დანართი N 6)

2014 წელს „კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრის“ საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 53 066 ათ.ლარი; საიდანაც დახარჯულია თანამშრომლებზე პრემია 30 880 ათ.ლარი, რომელიც არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან. შეძენილია ავტომანქანა 11 600 ლარი, შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა 3 069 ლარი და ინვენტარი 1 720 ლარი, ოფისის ხარჯი 1368 ლარი, ხელფასის თანხა 1 770 ლარი, სხვა ხარჯები გაცემულია ექსკურსიის ხარჯი 2 659 ლარი;

მიღებული სუბსიდიიდან დახარჯულია თანამშრომელთა ხელფასებზე 59 640 ლარი (დანართი N7)

შტატგარეშე თანამშრომლებზე ხელფასი გაცემულია 2 530 ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯები 1 308 ათ. ლარი;

2. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრ“-ში:

გარემოება; 2014 წელს ა(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 71 073 ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 58 332 ლარს, ხოლო დანარჩენი 12 741 ლარი წარმოადგენს თანამშრომლებისათვის ხელფასის სახით გაცემულ თანხას, რომელიც დაფინანსებული იქნა შემდეგი პროგრამებით: (დანართი N8)

„ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება კომპონენტის“ ფარგლებში გასათვალისწინებელი მომსახურებისათვის 1 368 ლარი.

„ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებულ სჯდ ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებისათვის 7 140 ლარი.

„ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის „მალარიისა და პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება კომპეტენციის“ ფარგლებში მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება) მომსახურებისათვის 4 233 ლარი.

ა(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2014 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 87 040 ლარი. მ.შ.

1. შრომის ანაზღაურება - 58 332 ლარი
2. საქონელი და მომსახურება - 28 711 ლარი
 - 2.1. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 17 520 ლარი
 - 2.2. ოფისის ხარჯი - 4 897 ლარი
 - 2.3. მივლინება - 610 ლარი
 - 2.4. სამედიცინო ხარჯი - 323 ლარი
3. ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 3 985 ლარი.
4. სხვადასხვა ხარჯები - 1 376 ლარი.

2014 წლის 12 მაისის N88 ხელშეკრულების თანახმად ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრ“-სა და ა(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 50 ლარი. კერძოდ შესრულდა „N7 ბაღის ფილიალში „სადეზინფექციო ღონისძიებები“.

2014 წლის 27 მაისის N93 ხელშეკრულების თანახმად ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრ“-სა და ა(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 100 ლარი. კერძოდ შესრულდა „N1; N3; N9; ბაღის ფილიალებში „სადეზინფექციო ღონისძიებები“.

2014 წლის 9 ივნისის N10 ხელშეკრულების თანახმად „შპს სანატორიუმი კოლხიდა“-სა და ა(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 200 ლარი. შესრულდა სანატორიუმის ტერიტორიაზე სადეზინსექციო სამუშაოები.

2014 წლის 14 ივლისის N12 ხელშეკრულების თანახმად „შპს სანატორიუმი კოლხიდა“-სა

და ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 300 ლარი. შესრულდა სანატორიუმის ტერიტორიაზე სადეზინსექციო სამუშაოები.

2014 წლის 27 მაისის N93 ხელშეკრულების თანახმად სსიპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრ“-სა და ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 1 000 ლარი. შესრულდა ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე N1; N2; N3 ; N4; N6; N7; N8; N9; ფილიალებში პროფილაკტიკური სადეზინსექციო სამუშაოები.

2014 წლის 1 სექტემბერი N6 ხელშეკრულების თანახმად ა(ა)ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრ“-სა და ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 2000 ლარი. კერძოდ შესრულდა ,, სოფლის ბაღების პროფილაკტიკური სადეზინსექციო სამუშაოები.

2014 წლის 1 დეკემბრის N20 ხელშეკრულების თანახმად ,,შპს მოდერნი-2009“-სა და ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 300 ლარი. შესრულდა სამზარეულოს სადეზინსექციო სამუშაოები.

ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების გაწევის მიზნით საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ დამტკიცებულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის N72 განკარგულების შესაბამისად და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის N59 განკარგულებით, ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 10 000 ლარი. კერძოდ შესრულდა ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში ცოფიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფა.

2014 წლის 3 იანვრის; 21 აპრილის; 1 მაისის; 1 სექტემბრის; 8 დეკემბრის (N25; N61; N260; N296; N551;N547; N753;N717) ხელშეკრულებების თანახმად სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათ კონტროლისა და ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშზე ჩამორიცხულია 11 068 ლარი. კერძოდ შესრულდა

ა(ა)ი.პ ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანხა შეადგენს 24 788 ლარს. კერძოდ გაკეთებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (დანართი N 4)

2014 წელს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის მიღებული აქვს თანხით 24 788 ,70 ლარი.

ა(ა)ი.პ. ,, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ აღნიშნული თანხით შესრულებულ სამუშაოებზე არ არის შედგენილი ხარჯთაღრიცხვები რის გამოც ვერ დგინდება რა რაოდენობის ხელფასი უნდა გაცემულიყო აღნიშნულ სამუშაოებში დაკავებულ თანამშრომლებზე ასევე საწვავის და სხვა დანახარჯების ოდენობით.

2014 წელს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 24 202 ლარი, საიდანაც დახარჯულია თანამშრომლებზე ხელფასებზე 12 741 ლარი. საქონელი და მომსახურება 11 561 ლარი მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 5 373 ლარი; ოფისის ხარჯი 2 196 ლარი, მივლინება 255 ლარი, კავშირ გაბმულობის ხარჯი 591 ლარი, კომუნალური ხარჯი 916 ლარი, სამდიცინო ხარჯები 548 ლარი, ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი - 2 352 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (შენობის დაცვის ხარჯი- 670 ლარი).

მიღებული სუბსიდიიდან დახარჯულია თანამშრომელთა ხელფასებზე 58 332 ლარი (დანართი N7)

შტატგარეშე თანამშრომლებზე ხელფასი გაცემულია 17 520 ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯები 11 291 ლარი;

3. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრ“-ში:

2014 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს _ 61060ლარს, მ.შ. საშტატო განრგით სახელფასო ფონდი შეადგენს 30 250 ლარს (მათ შორის სადეკრეტო შვებულება 800 ლარი), შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ხელფასის ფონდი შეადგენს 30 810 ლარს, შემოწმებას დაქვემდებარებული პერიოდისათვის სახელფასო ფონდი განსაზღვრულია _ 61 060 ლარით, ფაქტიურად დარიცხული და გაცემული სახელფასო დანახარჯები შეადგენს _ 61 033 ლარს.

აღნიშნული ფაქტორი გამოწვეულია სახელფასო თანხების არასწორი ხარჯვით და ორგანიზაციის საქმიანობისათვის მაღალი რისკის შემცველია.

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები (საწვავი, სათადარიგო ნაწილები) გადახარჯულია 154 ლარით (გეგმით 3 980 ლარი, ფაქტიური ხარჯი 4 134 ლარი);

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება ხარჯები (სხვა დანარჩენი ხარჯები) გადახარჯულია 2 ლარით (გეგმიური 3 010 ლარი, ფაქტიური 3 012 ლარი);

2014 წლის დასაწყისში ორგანიზაციის ბიუჯეტი შეადგენდა 68 000 ლარს, რაზედაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გაფორმებული არის ხელშეკრულება, თებერვლის თვეში გასული ენდემური ვაზის ჯიშების მოძიება განაშენიანების მიზნით ორგანიზაციაში დამატებით დაინიშნა სპეციალისტი მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებში, ამ მიზნით ხარჯმა საბიუჯეტო წლის ბოლომდე შეადგინა დამატებით 4 600 ლარი და შეადგინა 72 600 ლარი. 2014 წლის აგვისტოს თვეში ორგანიზაციამ განიცადა რეორგანიზაცია, უშუალოდ დაექვემდებარა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. სექტემბრის თვეში ცენტრის თანამშრომელს რომელიც იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში დამატებით მიეცა კომპენსაცია 800 ლარი და ბიუჯეტმა შეადგინა 73 400 ლარი. ოქტომბრის თვეში ვაზის ენდემური ჯიშების მოძიებისათვის დაემატა 200 ლარის ოდენობის საწვავი, 2014 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 73 600 ლარი, სხვაობამ 2014 წლის დამტკიცებულ

ბიუჯეტის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგინა 5 600 ლარი, აღნიშნულ თანხასთან არ არსებობს სუბსიდირების ხელშეკრულება.

გარემოება; 2014 წელს ა(ა)ი.პ. „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“-ს ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 61.0 ათ. ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 30.2 ათ. ლარს, ხოლო დანარჩენი 30.8 ათ. ლარი წარმოადგენს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაცემულ ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებზე გაცემულ ხელფასს. (დანართი N2)

ა(ა)ი.პ. „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“-ს ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2014 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 73.6 ათ. ლარი, მ.შ.

1. შრომის ანაზღაურება - 30 223 ლარი
2. საქონელი და მომსახურება - 40 340 ლარი; მ.შ (შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასი 30 810 ლარი).
3. ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 3 010 ლარი.

4. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის ცენტრ“-ში:

გარემოება; 2014 წელს ა(ა)ი.პ. „ დაბა ურეკის კულტურის სახლის“ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 101,6 ათ. ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 95,0 ათ. ლარს, ხოლო დანარჩენი 6,6 ათ. ლარი წარმოადგენს თანამშრომლებისათვის პრემიის სახით გაცემულ თანხას, რომელიც არ არის შეთანხმებული დამფუძნებელთან.(დარღვეულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 4 ოქტომბრის N95 განკარგულების, ა.ა)ი.პ. „დაბა ურეკის კულტურის სახლი“-ს წესდების თავი IV, მუხლი მე-5 თ ქვეპუნქტი.

ა(ა)ი.პ. „ურეკის კულტურის სახლის“ ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2014 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 120,0 ათ. ლარი, მ.შ.

1. შრომის ანაზღაურება - 100 870 ლარი
2. საქონელი და მომსახურება - 17 630 ლარი; მ.შ (პრემია დანამატი 5 600 ლარი).
3. ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 1 500 ლარი.
4. ა. (ა) ი.პ. „ოზურგეთის დაბა ურეკის კულტურის სახლი“-ს დირექტორის 2011 წლის 8 ოქტომბრის N 46 ბრძანების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N95-ე განკარგულების საფუძველზე მუხლი მე-6 თავი V მუსიკალური სტუდიისთვის დაწესდეს ყოველთვიური მშობელთა შემონატანი 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

დაბა ურეკის კულტურის სახლთან არსებული მუსიკალური სტუდიის სამტატო განრიგი, მოწავლეთა რაოდენობა და გაცემული ხელფასი; მ.შ.

2014 წლის იანვრის თვიდან სექტემბრის თვის ჩათვლით ირიცხებოდა თვეში- 42 (ორმოცდაორი) მოსწავლე.

ოქტომბრის თვეში-38 მოსწავლე

ნოემბრის თვეში--37 მოსწავლე.

დეკემბრის თვე--37 მოსწავლე

1. გულო ნაკაიძე-13 მოსწავლე,-გათავისუფლდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან.

2.ნინო ჯანელიძე-7 მოსწავლე

3,ნინო ქარჩავა-12 მოსწავლე

4.ლიდა ცენტერაძე-10 მოსწავლე.

N	სახელი,გვარი	ხელფასი				
		ადგილობრივი		საკუთარი		
		ხელფასი	პრემია			
1	Gguliko nakaiZe	2663,75		1481		
2	ნინო ქარჩავა	1466	50	1975		
3	ნინო ჯანელიძე	1610	50	1340		
4	ლიდა ცენტერაძე	1754	50	1230		
	ჯამი	7493,75	150	6026		

2014 წელს „ ურეკის კულტურის სახლი'-ს' საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 10 315 ათ.ლარი, (მ.შ. 2013 წლის ნაშთიდან 245 ლარი); საიდანაც დახარჯულია თანამშრომლებზე ხელფასი მუსიკალური სტუდიის მასწავლებლებისათვის 6 026 ათ.ლარი, (საშემოსავლოს ჩათვლით). ინვენტარი 1 680 ლარი, ოფისის ხარჯი 564 ლარი, კომუნალური ხარჯი (ელ.ენერგია) 504 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 214 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1 082 ლარი.

მიღებული სუბსიდიიდან დახარჯულია თანამშრომელთა ხელფასებზე 101 578 ლარი და პრემია 6 185 ლარი, რომელიც არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან.

5. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრ“-ში:

გარემოება; 2014 წელს ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრ“-მა ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 63 875 ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 63 875 ლარს, (დანართი N4)

ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“-ს ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2014 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 117,9 ათ. ლარი, მ.შ.

1. შრომის ანაზღაურება - 64 276 ლარი
2. საქონელი და მომსახურება - 10 248 ლარი;
3. ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 14 860 ლარი. მათ შორის:
 - 3.1. საწვავის-საპოხი მასალების შეძენა 5 100 ლარი;
 - 3.2. ავტომანქანების რემონტის ხარჯები 2 100 ლარი;
 - 3.3. ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შეძენა 1 575 ლარი;
 - 3.4. ტრანსპორტის დაქირავება 2 900 ლარი;
 - 3.5. მცირე ფასიანი ინსტრუმენტების და ხელსაწყოების შეძენის ხარჯები 775 ლარი;
 - 3.6. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები 2 410 ლარი.
4. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 13 591 ლარი; მათ შორის:
 - 4.1 ელექტრო საქონელი - 7 546 ლარი;
 - 4.2 სანერგე მეურნეობის პროდუქცია - 4 840 ლარი;
 - 4.3 ავტოსატრანსპორტო საშუალების გზის ვარგისიანობაზე ტესტირება - 92 ლარი;
 - 4.4 სამეურნეო ხარჯი - 972 ლარი.
 - 4.5. ბანკის მომსახურების პროცენტი - 69 ლარი.
5. სხვა ხარჯები - 14 920 ლარი. მათ შორის:

დამატებითი ღირებულების გადასახადი - 14 920 ლარი.

მიღებული სუბსიდიიდან დახარჯულია თანამშრომელთა ხელფასებზე 63 875 ლარი.

შესამოწმებელ პერიოდში გამოყენებული იქნა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“-ს მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ყოველთვიური დეკლარაციები, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლებთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურის ერთიანი კომპიუტერული ქსელის მონაცემები, გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათები და შემოსავლების დამადასტურებელი პირველადი საბუთები.

ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“ დამატებითი ღირებულების გადამხდელად რეგისტრირებულია 2014 წლის 15 აგვისტოს. (დანართი N3)

შემოწმების პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადი გაანგარიშებულია სწორად და ის შეადგენს და ფაქტიურად ჩარიცხულია 11 527 ლარი.

6. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ში:

გარემოება; 2014 წელს შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 18,3 ათ. ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 21,3 ათ. ლარს, ხოლო დანარჩენი 1,9 ათ. ლარი წარმოადგენს თანამშრომლებისათვის პრემიის სახით გაცემულ თანხას, რომელიც არ არის შეთანხმებული დამფუძნებელთან.

შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2014 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 56,7 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებით 10,9 ათ.ლარი. მ.შ.

1. შრომის ანაზღაურება - 25 082 ლარი; მ.შ. (დანამატი 1415 ლარი და 500 კომპენსაცია);

2. საქონელი და მომსახურება - 38 508 ლარი; მ.შ. (შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი 5 700 ლარი, 1 238,5 ოფისის ხარჯები და ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 28 092 ლარი);

3. არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 000 ლარი, მ.შ. (მსუბუქი ავტომობილის შესაძენად 4000 ლარი);

4. 2014 წლის 3 იანვრის N8 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ მიხეილ ლომჯარიას შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 2 640 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 1 320 ლარი.

5. 2014 წლის 3 იანვრის N8 2/1 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ თენგიზ ანთაძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 1 320 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 775 ლარი.

6. 2014 წლის 3 იანვრის N6 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ნარიმან ვანიძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 1 320 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 725 ლარი.

7. 2014 წლის 3 იანვრის N4 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ თამაზი არველაძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 660 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 270 ლარი.

8. 2014 წლის 3 იანვრის N7 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ტარასი ჩხაიძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 900 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 400 ლარი.

9. 2014 წლის 3 იანვრის N2 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ბადრი დუმბაძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 660 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 269 ლარი.

10. 2014 წლის 3 იანვრის N9 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ რევაზ მხეიძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 1 440 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 600 ლარი.

11. 2014 წლის 10 თებერვლის N24/4 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ამირან კვაჭანტირაძეს შორის მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 400 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 390 ლარი.

12. 2014 წლის 16 ოქტომბრის N12/1 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ა.(ა)ი.პ. „დაბა ურეკის კულტურის სახლი“ წარმომადგენელის ქეთევან ლორთქიფანიძის შორის სოფელ ლიხაურში ღონისძიებაში მონაწილეთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით წელიწადში 200 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 200 ლარი.

13. 2014 წლის 4 ივნისის N13 ხელშეკრულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით და მეორე მხრივ ა.(ა)ი.პ „მუსიკალური სკოლის“ დირექტორ ლელა შარაშენიძეს შორის დაბა ურეკში ღონისძიებაში მონაწილეთა უსაფრთხო გადაყვანის შესახებ თანხით 200 ლარი, ფაქტიურად ჩარიცხულია 200 ლარი.

14. ასევე ჩამორიცხულია სხვა ფიზიკური პირებიდან 176 ლარი სხვადასხვა მიმართულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეთა უსაფრთხო გადაყვანისათვის ჩამორიცხულია და გაცემულია 176 ლარი ავტობუსის მძღოლებზე რომელზეც შედგენილია უწყისი.

2014 წელს შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 5 295 ათ.ლარი, (მ.შ. 2013 წლის ნაშთიდან 0 ლარი); საიდანაც დახარჯულია თანამშრომლებზე ხელფასი 2 707 ლარი, (საშემოსავლოს ჩათვლით). საქონელი და მომსახურება 505 ლარი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 2 083 ლარი.

მიღებული სუბსიდიიდან დახარჯულია თანამშრომელთა ხელფასებზე 21 300 ლარი და პრემია 1 915 ლარი, რომელიც არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან.

7. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ში:

შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციას დამტკიცებული აქვს 2014 - 2015 წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი (ორგანიზაციის ბიუჯეტი), რომელმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში 2015 წლის 1 აგვისტომდე ცვლილება განიციდა ორჯერ. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი განაწილებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის

მუხლების მიხედვით. შემოწმებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაშიფრვის შედეგად წარმოდგენილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები არ შეესაბამება ფაქტიურად გაწეული ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები იყოფა 8 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მოსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტები, სუფსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

შრომის ანაზღაურება არ ითვალისწინებს კონტრაქტორების, თვითდასაქმებული პირების თუ სხვა სახის მომუშავეთათვის გადახდილ თანხებს, რომლებიც ორგანიზაციის სამტატო რიცხოვნობას არ ეკუთვნის. ნებისმიერი ამგვარი ხარჯები აისახება როგორც საქონელი და მომსახურება. კლასიფიკაციის ამავე მუხლში ექვემდებარება ასახვას ხარჯები მივლინებებზე, ოფისის, სამედიცინო მომსახურების, რბილი ინვენტარისა და ფორმების შეძენის, აგრეთვე პირადი ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების შეძენის ხარჯები.

– ორგანიზაციის წესდების მე-6 მუხლის მე-4 თავისმე-5 დ ქვეპუნქტით ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სტრუქტურას, სამტატო განრიგს და სახელფასო ფონდს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეთანხმებულია აღნიშნული წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები: ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დაზუსტებული სამტატო განრიგი და სახელფასო ფონდი არის შეთანხმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და დამტკიცებულია გამგებლის მიერ.

დამტკიცებული სამტატო განრიგით ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელფასო ფონდი ერთ თვეში შეადგენს – 9 750 ლარს.. სულ სახელფასო ფონდი შეადგენს თვეში 8260 ლარს(დაზუსტებული სამტატო განრიგის მიხედვით).

– ორგანიზაციის ხარჯვით ნაწილში შესრულებულია ფინანსური ოპერაციები, კერძოდ:

2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს – 106 190 ლარს, შემოწმებას დაქვემდებარებული პერიოდისათვის სახელფასო ფონდი განსაზღვრულია – 106 190 ლარით, ფაქტიურად დარიცხული და გაცემული სახელფასო დანახარჯები 2015 წლის 1 აგვისტოსათვის შეადგენს – 50 831 ლარს.

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები (საწვავი, სათადარიგო ნაწილები) გახარჯულია 355 ლარით (გეგმით 355 ლარი, ფაქტიური ხარჯი 347 ლარი);სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება ხარჯები (სხვა დანარჩენი ხარჯები) (გეგმიური 1 355 ლარი, ფაქტიური 704,60 ლარი);

– ორგანიზაციას მიეცა მიმართულება მოახდინოს 2014 - 2015 წლებში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მონაცემების დაზუსტება შესაბამისი პერიოდების მიხედვით.

– ორგანიზაციის მიერ შემოწმების პერიოდში საჭიროებისათვის შეძენილია ნავთობპროდუქტები (ბენზინი) 180 ლიტრი 347 ლარის ღირებულების. საწვავი შეძენილია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით. საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ დირექტორის ბრძანების მიერ სოფლებში მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის. რომელიც სრულყოფილი არ არის.

ნავთობპროდუქტების შექმნის, აღრიცხვის, ხარჯვის და ჩამოწერის სპეციფიკიდან გამომდინარე დახარჯული საწვავის ჩამოწერა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის №230 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული მითითებებისა და ინსტრუქციის შესაბამისად.

– შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციაში სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ინვენტარიზაცია სრულად არ არის ჩატარებული.

ორგანიზაციას მიეცა მიმართულება და რეკომენდაცია ყოველწლიურად ფინანსური წლის ბოლოს ჩატაროს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და შედეგები ასახული იქნას საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

– ყურადღება მიექცეს და კონტროლზე იქნას აყვანილი თანხების მიზნობრივი ხარჯვა.

8.დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრ“-ში:

– შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციას დამტკიცებული აქვს 2015 წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი (ორგანიზაციის ბიუჯეტი), რომელმაც საბიუჯეტო წლის შესამოწმებელ პერიოდის განმავლობაში ცვლილება განიციდა ორჯერ. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი განაწილებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით. შემოწმებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაშიფვრის შედეგად წარმოდგენილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები არ შეესაბამება ფაქტიურად გაწეული ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას.

– ორგანიზაციის წესდების მე-5 მუხლის 5,7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სტრუქტურას, საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ დარღვეულია აღნიშნული წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები: ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დაზუსტებული საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი არ არის შეთანხმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან.

დაზუსტებული საშტატო განრიგით ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელფასო ფონდი ერთ თვეში 2015 წლის 1 სექტემბრისათვის შეადგენს _ 18 280 ლარს. სულ სახელფასო ფონდი შეადგენს თვეში 18 280 ლარს (დაზუსტებული საშტატო განრიგის მიხედვით).

დამტკიცებული საშტატო განრიგით განსაზღვრული ერთი თვის და შესაბამისად წლიური სახელფასო ფონდი არ შეესაბამება ორგანიზაციის ბიუჯეტით განსაზღვრულ ერთი თვის და შესაბამისად წლიურ სახელფასო ფონდს. აღნიშნული გამოწვეულია საშტატო განრიგის და სახელფასო ფონდის არასწორი დაგეგმვით და ორგანიზაციის საქმიანობისთვის რისკის შემცველია.

2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს _ 154 524 ლარს, შემოწმებას დაქვემდებარებული პერიოდისათვის სახელფასო ფონდი განსაზღვრულია _

154 524 ლარით, ფაქტიურად დარიცხული და გაცემული სახელფასო დანახარჯები შეადგენს _ 101 092 ლარს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ორგანიზაციას გაცემული აქვს პრემია _ 1 559 ლარის ოდენობით და ასევე ჰონორარი 945 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით ფაქტიურ გასაცემ ხელფასსა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხელფასს შორის არის სხვაობა (მოსალოდნელი გადახარჯვა). აღნიშნული ფაქტორი გამოწვეულია სახელფასო თანხების არასწორი ხარჯვით და ორგანიზაციის საქმიანობისათვის მაღალი რისკის შემცველია.

- მივლინება აგაცემულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ, სამივლინებო თანხები გაცემულია არათანამშრომლებზე.

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები (საწვავი, სათადარიგო ნაწილები) გახარჯულია 2 305 ლარით (გეგმით 2 175 ლარი, ფაქტიური ხარჯი 2 305 ლარი); 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გადახარჯვაა 130 ლარით.

_ ორგანიზაციას მიეცა მიმართულება მოახდინოს 2015 წელში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მონაცემების დაზუსტება შესაბამისი პერიოდების მიხედვით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება ხარჯები (სხვა დანარჩენი ხარჯები) დახარჯულია 19 697 ლარი (გეგმიური 46 465 ლარი, ფაქტიური 19 967 ლარი);

_ შემოწმების პერიოდში, ორგანიზაციის მიერ საჭიროებისათვის შეძენილია ნავთობპროდუქტები (ბენზინი) 550 ლიტრი 877,60 ლარის ღირებულების. საწვავი შეძენილია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით. საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ დირექტორის მიერ ბრძანებით ლიმიტის შესახებ. რომელიც არასრულყოფილია.

ნავთობპროდუქტების შეძენის, აღრიცხვის, ხარჯვის და ჩამოწერის სპეციფიკიდან გამომდინარე დახარჯული საწვავის ჩამოწერა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის №230 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული მითითებებისა და ინსტრუქციის შესაბამისად.

_ შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციაში სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ინვენტარიზაცია სრულად არ არის ჩატარებული.

- შესამოწმებელ პერიოდში ცენტრის ანგარიშზე ფიქსირდება სამუსიკო სწავლებისათვის მშობელთა შენატანი 4780 ლარის ოდენობით, რომელიც გაცემულია ხელფასის სახით და აღნიშნულ საბანკო ოპერაციებთან, მიზნობრიობასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში არანაირი სახის დოკუმენტაცია არ მოიპოვება (სამუსიკო სწავლების მიზნით წრის შექმნის შესახებ ბრძანება, საათობრივი ბადე, შრომითი ხელშეკრულებები და ა.შ.).

- შესამოწმებელ პერიოდში ცენტრის ანგარიშზე ფიქსირდება სუბსიდიის სახით 3200 ლარი, რომელიც გაცემულია ხელფასის სახით და აღნიშნულ საბანკო ოპერაციებთან, მიზნობრიობასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში არანაირი სახის დოკუმენტაცია არ მოიპოვება (სამუსიკო სწავლების მიზნით წრის შექმნის შესახებ ბრძანება, საათობრივი ბადე, შრომითი ხელშეკრულებები და ა.შ.).

- ორგანიზაციას მიეცა მიმართულება და რეკომენდაცია ყოველწლიურად ფინანსური წლის ბოლოს ჩაატაროს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და შედეგები ასახული იქნას საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

_ ყურადღება მიექცეს და კონტროლზე იქნას აყვანილი თანხების მიზნობრივი ხარჯვა.

9.დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას“ -ში:

_ შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციას დამტკიცებული აქვს 2015 წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი (ორგანიზაციის ბიუჯეტი), რომელმაც საბიუჯეტო წლის შესამოწმებელ პერიოდის განმავლობაში ცვლილება განიციდა ორჯერ. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი განაწილებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.

_ ორგანიზაციის წესდების მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სტრუქტურას, საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნული წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნები: ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დაზუსტებული საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი შეთანხმებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან.

დაზუსტებული საშტატო განრიგით ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელფასო ფონდი ერთ თვეში 2014-2015 წელს შეადგენს 8720 ლარს. სულ სახელფასო ფონდი შეადგენს თვეში 8720ლარს (დაზუსტებული საშტატო განრიგის მიხედვით).

2014 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს _ 34 880 ლარს, ხოლო 2015 წელს 34 880 ლარს. ორგანიზაციას გაცემული აქვს პრემია 2014 წელი 1400 ლარი, 2015 წელს პრემიის თანხა შეადგენს 8720 ლარს.

_ ორგანიზაციას მიეცა მიმართულება მოახდინოს 2015 წელში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მონაცემების დაზუსტება შესაბამისი პერიოდების მიხედვით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება ხარჯები (სხვადანარჩენი ხარჯები) დახარჯულია 2014 წელს 1 633 ლარი, 2015 წელს 3 100 ლარი.

_ შემოწმების პერიოდში „ წყალმომარაგებას“ შეძენილი აქვს რაცია - 1 306 ლარი, თოკი 100 ლარი, უნიფორმა 504 ლარი. აღნიშნული ქონება აღრიცხულია როგორც სინთეზური აღრიცხვით „ასევე ნაწარმოებია ანალიზურად, რომელზედაც შესაბამისად გაანგარიშებულია შეძენა, ცვეთა ჩამოწერა და სხვა. 2015 წლის 1 სექტემბრისთვის ერიცხება ძირითადი საშუალებები თანხით 1 910 ლარი.

- ორგანიზაციას მიეცა მიმართულება და რეკომენდაცია ყოველწლიურად ფინანსური წლის ბოლოს ჩაატაროს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და შედეგები ასახული იქნას საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

_ ყურადღება მიექცეს და კონტროლზე იქნას აყვანილი თანხების მიზნობრივი ხარჯვა.

10. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრ“-ში:

_ შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციას დამტკიცებული აქვს 2014 – 2015 წლების ძირითადი ფინანსური დოკუმენტი (ორგანიზაციის ბიუჯეტი), რომელმაც საბიუჯეტო წლის შესამოწმებელ პერიოდის განმავლობაში ცვლილება განიცადა ხუთჯერ. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი განაწილებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.

ა(ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრ“-ს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (გამგებელი).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღზრდელი დაწესებულება აერთიანებს 34 ერთეულ საბავშვო ბაღს, რომლებიც ემსახურებიან 1600 აღსაზრდელს. დაწესებულება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობის ზედამხედველ ორგანოს. საბავშვო ბაგა-ბაღების ყოველი მოთხოვნის დაფინანსება ხორციელდება დაწესებულების მეშვეობით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N48 დადგენილების საფუძველზე ა.ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს 2015 წლის სუბსიდიის ოდენობა შეადგენს 1 420.0 ათ.ლარს. ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 იანვრის N4 დადგენილების საფუძველზე ა.ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს 2015 წლის სუბსიდიის ოდენობა გაიზარდა 20,0 ათ.ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 აპრილის N18 დადგენილების საფუძველზე ა.ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს 2015 წლის სუბსიდიის ოდენობა გაიზარდა 0,75 ათ.ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ივლისის N26 დადგენილების საფუძველზე ა.ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს 2015 წლის სუბსიდიის ოდენობა გაიზარდა 0,7 ათ.ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილების საფუძველზე ა.ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს 2015 წლის სუბსიდიის ოდენობა გაიზარდა 20,8 ათ.ლარით და სულ შეადგენს 1 462,25 ათ.ლარს.(დანართი N1).

ა(ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

ა(ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელი-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს შემოსავალმა 2014 წლის 2 აგვისტოდან - 31 დეკემბრამდე შეადგინა 525 768 ლარი, ხოლო ხარჯმა 508 275,30 ლარი. 2015 წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა ნაშთი 17 724,60 ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან - 1 სექტემბრამდე შემოსავალმა შეადგინა 805 821,00 ლარი, ხოლო ხარჯმა 818 063,60 ლარი. 2015 წლის 1 სექტემბრისათვის ერიცხებოდა ნაშთი 2 752,17 ლარი.

2014 წელი

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 508 275,50 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება - 330 729,60 ლარი, (დანართი N 3, დანართი N 3-1).

საქონელი და მომსახურება - 171 667,30 ლარი მათ შორის: (მივლინება 231,70 ლარი, ოფისის ხარჯები 70 982,10 ლარი, მ.შ. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 18 200,50 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენა-დამონტაჟების ხარჯი 14 938,20 ლარი, ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი 3 079 ლარი, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი 2 937,50 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი 640,90 ლარი, კომუნალური ხარჯი 30 968,40 ლარი,

კვების ხარჯი 99 288,10 ლარი.

ბანკის მომსახურების ხარჯი 199,60 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი - 1 183,60 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 3 643,60 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა - 2 235,0 ლარი.

გარემოება; 2015 წლის 1 სექტემბრამდე ა(ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრ“-მა ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა (2014 წლის 330 729,40 ლარი, 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით 586 262,25 ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენსთვეში 80 610 ლარს. (დანართი N8,).

1.ა(ა)ი.პ. „მუნიციპალური სკოლამდელი სააღზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2015 წელს ბიუჯეტით განსაზღვრულია სუბსიდია 1462,3 ათ. ლარი, მ.შ.

2. შრომის ანაზღაურება - 932 365 ლარი.

3. საქონელი და მომსახურება - 515 772 ლარი.

4. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 14 113 ლარი.

2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით მიღებული სუბსიდიიდან დახარჯულია თანამშრომელთა ხელფასებზე 586 262,30 ლარი.

- ორგანიზაციას მიეცა მიმართულება და რეკომენდაცია ყოველდღიურად საბავშვო ბაღებში საწყობში არსებული სურსათის ნაშთი მენეჯერის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე ეცნობოს სკოლამდელი სააღზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ადმინისტრაციას.

11. დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად შემოწმება ჩატარდა შ.პ.ს.

„ტექნოსერვ“-ში:

შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-ს ანგარიშზე 2014 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბარემდე შემოსულია 75 828,38 ლარი (მათ შორის ნაშთი 35,31 ლარი). საკასო ხარჯებმა შეადგინა 75 793 ლარი, საიდანაც გასავალმა სალაროში შეადგინა 26 218 ლარი, გაცემულია ხელფასი 17 866,60 ლარი, შეძენილია საწვავი 13 525 ლარის. გადახდილია დ.დ.გ 7 494,19 ლარი, საშემოსავლო 5 953 ლარი, ქონების გადასახადი 87,59 ლარი, ბანკის მომსახურების ხარჯი 98,76 ლარი, სხვა ხარჯი 4 550 ლარი.

შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-ს ანგარიშზე 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე შემოსულია 251 490,81 ლარი (მათ შორის ნაშთი 35,31 ლარი). საკასო ხარჯებმა შეადგინა 251 487,91 ლარი, საიდანაც გასავალმა სალაროში შეადგინა 79 405 ლარი, გაცემულია ხელფასი 35 338,91 ლარი, შეძენილია საწვავი 69 707,60 ლარის. გადახდილია დ.დ.გ 6 245,68 ლარი, საშემოსავლო 15 761,08 ლარი, ქონების გადასახადი 3 261,40 ლარი, ბანკის მომსახურების ხარჯი 311,34 ლარი, სხვა ხარჯი 30 166,50 ლარი.

2015 წელში შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-ს შემოსავალმა შეადგინა სუბსიდიის სახით 134 450 ლარი, საკუთარი შემოსავალი 135 385 ლარი. ანგარიშსწორებისას ანგარიშზე 2016 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა ნაშთი 38,21 ლარი.

შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-ს ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2015 წელს ბიუჯეტით განსაზღვრულია სუბსიდია 134 450 ათ. ლარი, მ.შ.

1. შრომის ანაზღაურება - 39 389 ლარი.
2. საქონელი და მომსახურება - 95 061 ლარი.

შემოწმებით დადგენილი ნაკლოვანებები

1. წარმოდგენილი კალკულაციით უნდა დადგინდეს შემდეგი: ერთი საათის მუშაობის შედეგად ე.ი. თითოეული სატრანსპორტო საშუალება ერთი საათის მუშაობით რა მოგებას უტოვებს საწარმოს. არსებული კალკულაციით მოგების და ამორტიზაციის თანხა არის შეერთებული, რაც არასწორია და უნდა იქნეს შეტანილი ცვლილება- მოგება ცალკე და ამორტიზაცია ცალკე თანხის ჩვენებით.

2. (შ.პ.ს.) „ტექნოსერვი“-მა შესამოწმებელი ერთი წელი დაამთავრა მოგებით 3 407 ლარი, ამორტიზაციის გარეშე. დებულების თანახმად აღნიშნული თანხა ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში ამოღებას.

წარმოდგენილი კალკულაციებით შ.პ.ს „ტექნოსერვი“ მიეკუთვნება მომგებიან ორგანიზაციას. ამიტომ მასზე გამგეობიდან სუბსიდიების გაცემა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ბიუჯეტიდან მხოლოდ სესხის გაცემა და არა სუბსიდიის.

3. 2015 წლის 1 იანვრიდან შ.პ.ს „ტექნოსერვი“-ზე გადაცემულია სუბსიდია 134 450 ლარი, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით გამგეობამ მის მიერ დავალებული სამუშაოების შესრულებისთვის უნდა შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა ამა თუ იმ ობიექტის სამუშაოზე და უნდა არსებობდეს ფორმა-2 შესრულებულ სამუშაოზე. რის შემდეგაც გამგეობა უნდა ანაზღაურებდეს

მოცემულ თანხას და არა სუბსიდიის გადაცემას. აღნიშნული ფაქტი დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობით.

4. შ.პ.ს. „ტექნოსერვ“-ის ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია-შემოწმებით დადგენილი ნაკლოვანებების პირველ პუნქტში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, აღრიცხვაში იქონიონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ წარმოდგენილი კალკულაცია.

შედეგებიდან გამომდინარე შ.პ.ს. „ტექნოსერვი“-ს დირექციას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

მიცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე დირექციის მიერ გაფრთხილდა მთავარი ბუღალტერი. შ.პ.ს.-ს დირექცია ატარებს შესაბამის ღონისძიებებს რეკომენდაციების შესასრულებლად.

გამოვლენილ ნაკლოვანებებზე მიეცათ ხელმძღვანელობას შესაბამისი რეკომენდაციები, რაც შექმნის იმ საფუძველს, რომ მომავალში ცალკეულ ნაკლოვანებებს არ დაურჩეს ადგილი.

შიდა აუდიტის სამსახური ყველა ჩატარებულ შემოწმების შედეგებზე შესაბამის ანგარიშს წარუდგენდა მუნიციპალიტეტის გამგებელს.

სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა რისკის მართავა, რომელშიც როგორც მოგეხსენებათ არის ის შესაძლო მოვალეობისა და სიტუაციის განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს გამგეობის ა(ა).ი.პ.-ებისა და დაქვემდებარებული ერთეულების მიზნების მიღწევასა და შესასრულებაზე და გულისხმობს რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც თავისთავად გულისხმობს კონტროლის ღონისძიებების გატარებას, რაც ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად. დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი:

გიორგი ჩაგანავა

